ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4175776

ნომერი: AR1630346

თარიღი : 13.09.2018

გაცემის თარიღი : 18.09.2018

გაცნობის თარიღი : 18.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტრიკოტაჟი , N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანაჰით მხოიან პ/ნ 01691016186
- საქართველო, ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა, N 2დ

ორგანიზაცია:

- საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი კოდი: 405033501

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- ამჟამინდელი მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად ფიქსირდება მომიჯნავე საკადასტრო ერთეულების (ს/კ: 01.12.12.001.198 და ს/კ: 01.12.12.001.140) თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან გადაფარვა. იმისათვის რომ სამსახურმა სრულყოფილად იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა პირველ რიგში განხორციელდეს მიწის ნაკვეთების საზღვრების გასწორება/კორექტირება. ასევე, გაურკვეველია საიდან ხდება მიწის ნაკვეთთან მისასვლელი სამანქანო გზის წვდომა. განიმარტოს აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე მიწის ნაკვეთებიდან რომელიმე დაიტვირთოს სერვიტუტით ს.კ. #01.12.12.001.048 მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ და წარმოდგინოთ შესაბამისი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

- საკადასტრო გეგმაზედ დატანილ იქნას საპროექტო ობიექტის ღიობები და გაითვალისწინეთ, რომ დაცულ უნდა იქნას სამეზობლო მიჯნის ზონა. ასევე გათვალისწინებულ იქნას „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 29-ე მუხლის მე- 12 პუნქტან შესაბამისობა და წარმოდგენილ იქნას დაკორექტირებული დოკუმენტაცია.

- თქვენ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საპროექტო არეალის სიახლოვეს) ფიქსირდება ხე-ნარგავები. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილ იქნას უფლებამოსილი პირის მიერ შესრულებული და დამოწმებული ტოპოგრაფიული გეგმა საპროექტო შენობისა დატანით და არსებულ ხე-ნარგავებთან დაშორების მანძილის მითითებით და გაითვალისწინეთ, რომ დაცული უნდა იყოს მათ შორის მინიმალური 3 მეტრიანი მანძილი. წინააღმდეგ ან/და მათი მოჭრა/გადარგვის შემთხვევაში წარმოდგენილ იქნას შესაბამისი სამსახურის თანხმობა.

- თქვენ მიერ წარმოდგენილი სს თელასის პირობებიდან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნას მათ მიერ დამოწმებული საპროექტო გენ-გეგმა საპროექტო შენობის განთავსებასთან დაკავშირებით ხაზოვან ნაგებიბასთან მიმართებაში.

- გაითვალისწინეთ, რომ შენობა-ნაგებობის სიმაღლე განისაზღვრება საძირკვლის ყველაზე დაბალი ნიშნულიდან: შენობის შემთხვევაში – შენობის საანგარიშო ზედაპირ(ებ)ის ყველაზე მაღალ ნიშნულამდე. აღნიშნულის შესაბამისად საპროექტო შენობა (სიმაღლით) მოყვანილ იქნას კლასთან შესაბამისობაში.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.